მასწავლებლის რეფლექსია

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს №1 საჯარო სკოლაში 2021 წლის 29 მარტს მე-9 კლასში ჩავატარე სტატუსის შესანარჩუნებელი სავალდებულო გაკვეთილი გერმანულ ენაში. ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთილი შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მე- 2 უცხო ენის შედეგებს:

IIუცხ.საბ.2. ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებით ტექსტის შინაარსის ეტაპობრივად კონსტრუირება;

IIუცხ.საბ.6 ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;

გაკვეთილის თემა იყო: „Wohnen; Das eigene Zimmer“

გაკვეთილის მიზანი იყო: მოსწავლე შეძლებს სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის გაგება-გააზრებას და გადმოცემას ჩანიშნული სიტყვების საშუალებით.

ჩატარებული გაკვეთილის ანალიზის შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ მიზანს მივაღწიე. გაკვეთილის მიზანი იყო რეალისტური, გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგებიდან. მოსწავლეებმა შეძლეს სახელმძღვანელოში მოცემული ქვეყანათმცოდნეობითი ტექსტის გაგება-გააზრება. ასევე გააცნობიერეს, რომ გონივრულად ჩანიშნული სიტყვები (Stichwörter) ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად უაღრესად დიდ დახმარებას გაუწევთ. ვთვლი, რომ გაკვეთილი წარიმართა საინტერესოდ და შედეგიანად, რაც განაპირობა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმილმა და გაკვეთილზე განხორციელებულმა აქტივობებმა. სასწავლო რესურსი (დაფა, ცარცი, შეფასების რუბრიკა, თაბახის ფურცელი გონივრულად ჩანიშნული სიტყვებით, სახელმძღვანელო) ხელს მიწყობდა გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების ეფექტურად წარმართვაში. მოსწავლეებმა იცოდნენ ქცევის წესები. ახალი მასალის გასაპრაქტიკებლად საშინაო დავალებად საკუთარი ოთახის აღწერა მივეცი.

გაკვეთილის მსვლელობისას ვიყენებდი განმავითარებელ შეფასებას, სწორ პასუხს აღვნიშნავდი მოკლე კომენტარით. გაკვეთილის ბოლოს 3 მოსწავლე შეფასების რუბრიკის გამოყენებით შევაფასე განმსაზღვრელი შეფასებით. დასკვნით ეტაპზე მოვახდინე მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილის შეჯამება. ვაანალიზებ რა ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილს, მიმაჩნია რომ გასაუმჯობესებელი ფაქტორი მოსწავლეთა ჩართულობაა, რის გამოც მომავალში უფრო აქტიურად ვითანამშრომლებ კოლეგებთან, გამოვიყენებ „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“, რათა კიდევ უფრო დავხვეწო საკუთარი პროფესიული საქმიანობა.

თამარ ჩუბინიძე